შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№19 (9.978)

5-12 ივნისი 2021 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

პურის ბელელი ალოობის მოლოდინში

დედოფლისწყაროში ალოობისთვის ემზადებიან. თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება ცოტა ხანში დაიწყება.

ადგილობრივი ფერმერები ამბობენ, რომ წლევანდელი წელი მათთვის არცთუ სახარბიელო აღმოჩნდა. „წელს ხორბლის ნათესებს რაღაც დაავადებები გაუჩნდა, რომლებმაც მნიშვნელოვნად დააზიანეს ისინი. სამწუხაროდ, ჩვენთან ეტიმოლოგებისა და აგრონომების სერიოზული დეფიციტია. ამიტომ ფერმერებმა პრაქტიკული დაკვირვების შედეგად შევიძინეთ გარკვეული ცოდნაც და გამოცდილებაც, თუ როგორ მოვუაროთ ნათესებს. მაგრამ მეცნიერულ დონეზე დაკვირვება და დაავადებების შესწავლა აღარ ხდება. ამის ბრალია, რომ წამლობების მიუხედავად, ნაკვეთები მაინც დაზიანდა, რამაც მოსავალზე უარყოფითად იმოქმედა. წინასწარი პროგნოზით, მოსავალი საშუალო უნდა იყოს, მაგრამ რა იქნება რეალურად, ამას აღების შემდეგ ვნახავთ“- ამბობს ფერმერი გესიკ თოფჩიშვილი.

იდენტურად ფიქრობენ სხვა ფერმერებიც. ისინი ენერგომატარებლებზე ფასების ზრდასა და სხვა უარყოფით ტენდენციებზე ამახვილებენ ყურადღებას. **„ამბობენ, წელს მოსავლის აღებისას, ტექნიკის მომსახურების ფასები გაიზრდება და 130-175 ლარამდე იმერყევებს. საწვავზე ფასმა რამდენჯერმე მოიმატა. მოსავალსაც არ უჩანს კარგი პირი. ჩვენი გათვლებით, ჰექტარზე 2 ტონას მოველით. ეს არაფერია. გაორმაგებული დანახარჯების პირობებში, თვითღირებულებასაც ვერ აანაზღაურებს“**-აცხადებენ ფერმერები გაზეთ „შირაქთან“.

ამ დღეებში სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე დედოფლისწყაროს სტუმრობდა. გიორგი ხანიშვილი კახეთის რეგიონში ხორბლისა და ქერის მოსავლის აღების მოსამზადებელ სამუშაოებს გაეცნო. რეგიონში, მინისტრის პირველ მოადგილესთან ერთად, კახეთის მხარის რწმუნებული ირაკლი შიოშვილი, მაჟორიტარი დეპუტატი დავით სონღულაშვილი, დედოფლისწყაროს მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, დედოფლისწყაროს საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი იმყოფებოდნენ.

კახეთის რეგიონში „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიის“ მოქმედ სერვისცენტრებში მოსავლის აღების მოსამზადებელი სამუშაოების გაცნობის შემდეგ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფლის რწმუნებულებთან და ფერმერებთან შეხვედრა გაიმართა.

„მარცვლოვანი კულტურების მოსავლის ასაღებად „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიის“ 90 ერთეული კომბაინია მობილიზებული. წელს ჩვენი ფერმერები კარგ მოსავალს ელოდებიან. ვფიქრობ, ადგილობრივ ხელისუფლებასთან კოორდინაციით, შევძლებთ ორგანიზებულად ვმართოთ პროცესი. მოვუწოდებ ფერმერებს, დროულად გააკეთონ მოსავლის ამღები ტექნიკის მომსახურებაზე განაცხადი, გააფორმონ ხელშეკრულება, რათა ოპერატიულად მიიღონ მომსახურება“, - განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ, გიორგი ხანიშვილმა.

კახეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის, ირაკლი შიოშვილის განცხადებით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით, მარცვლეული კულტურების მოსავლის შეუფერხებლად ასაღებად, აქტიურად მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები.

„ძალიან მნიშვნელოვანია, ფერმერებმა ორგანიზებულად შეძლონ მოსავლის აღება და დაბინავება“, - აღნიშნა მაჟორიტარმა დეპუტატმა, დავით სონღულაშვილმა დედოფლისწყაროში გამართულ შეხვედრაზე.

ქერისა და ხორბლის მოსავლის აღება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან დაიწყება. **„სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიის“** 90 ერთეული კომბაინის გარდა, მოსავლის აღების პროცესში კერძო სექტორში არსებული ტექნიკაც ჩაერთვება. მოსავლის აღების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, საკოორდინაციო შტაბი უკვე ამოქმედდა.

ალოობის საკოორდინაციო შტაბი 2021-ის წარმომადგენლებმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაში სამუშაო შეხვედრა გამართეს.

შეხვედრას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, მერის მოადგილე მალხაზ მერაბიშვილი, შპს „მექანიზატორის“, საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურისა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

აღინიშნა, რომ ალოობის საკოორდინაციო შტაბი 2021 ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად მოსავლის აღებისა და დაბინავების პროცესში ფერმერებს სათანადო დახმარებას ადგილზე გაუწევს.

„დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში თავთავიანი კულტურის მოსავლის აღების სამუშაოები უახლოეს პერიოდში დაიწყება. ხელისუფლების ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს ამ პროცესის შეუფერხებლად, აგროვადების დაცვით ჩატარება წარმოადგენს, რისთვისაც ყველაფერს გავაკეთებთ“ - აღნიშნა შეხვედრაზე ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

წელს მოსავლის აღებისთვის საჭირო ტექნიკის დეფიციტი ნამდვილად არ არის. მთავარია, მოსავალმა ფერმერების მოლოდინი გაამართლოს და კიდევ, ხორბალზე ფასი ადექვატური იყოს. „თორემ რა გამოდის, პურზე ფასი იზრდება, ხორბალი კი იაფდება“ - ამბობენ ფერმერები. ისინი შიშობენ, რომ საქართველოს პურის ბელელი ასეთ პირობებში თავის ფუნქციას, ფერმერები კი - ხორბლის მოყვანის სტიმულს დაკარგავენ.

მოამზადა

ინგა შიოლაშვილმა

პრემიერ-მინისტრი ღარიბაშვილი თურქეთში პრეზიდენტ ერდოღანს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი 1 ივნისს სამუშაო ვიზიტით ანკარას ესტუმრა, სადაც თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანს შეხვდა.

თურქეთში პრემიერ-მინისტრთან ერთად ასევე იმყოფებოდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი, ეკონომიკის მინისტრი ნათია თურნავა, გარემოს დაცვის მინისტრი ლევან დავითაშვილი და აჭარის მთავრობის მეთაური თორნიკე რიჟვაძე.

თურქეთის პრეზიდენტის რეზიდენციაში გამართული შეხვედრის შემდეგ, ლიდერებმა პრესკონფერენცია გამართეს, სადაც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ „განგებამ ისე გადაწყვიტა, რომ ჩვენ სამი სახელმწიფო — აზერბაიჯანი, საქართველო, თურქეთი, ვართ ურთიერთდამოკიდებული, გვაქვს ძალიან მჭიდრო თანამშრომლობა, პარტნიორობა და რაც მთავარია — მეგობრობა“.

მისი თქმით, სამ ქვეყანას შორის არსებობს „ძალიან მყარი საფუძველი იმისა, რომ კიდევ უფრო მეტი პროექტი განვახორციელოთ ერთობლივად როგორც ორმხრივ, ასევე სამმხრივ ფორმატში“. მან რამდენიმე ერთობლივი პროექტი გაიხსენა, მათ შორის, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზა და სამხრეთ კავკასიური მილსადენი.

ხაზი გაუსვა რა, რომ თურქეთი ყოველთვის უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ნატოში გაწევრიანების მისწრაფებებს „ყველა ფორმატში“, პრემიერ-მინისტრმა ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ მან თურქეთის პრეზიდენტთან რუსეთის მიერ ოკუპირებულ რეგიონებში არსებული ვითარება, ასევე რეგიონში არსებული სიტუაცია განიხილა.

ავტორიზაცია „ჩაღლარის“ ქსელის კიდევ ერთმა სკოლამ ვერ გაიარა

IBSU-სთვის სტუდენტების მიღების უფლების ერთი წლით შეზღუდვას უარყოფითი შეფასებები მოჰყვა

თურქეთის პრეზიდენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, პრეზიდენტმა ერდოღანმა ხაზი გაუსვა, რომ თურქეთი ბოლო 14 წელია საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია. მისი თქმით, 2020 წელს ორმხრივი ვაჭრობის მოცულობის გარკვეული შემცირების მიუხედავად, მათ გამიზნული აქვთ 3 მილიარდი აშშ დოლარის სავაჭრო ბრუნვას მიაღწიონ. მანვე დასძინა, რომ ორი ქვეყანა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფართოების საკითხს განიხილავს.

თურქეთის პრეზიდენტის თქმით, ანკარას მიაჩნია, რომ თბილისი მნიშვნელოვან როლს თამაშობს რეგიონულ თანამშრომლობაში. ამ კუთხით, მან აზერბაიჯანთან სამმხრივი თანამშრომლობის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი. „ჩვენ, თურქეთი, მხარს ვუჭერთ ყველანაირ სამმხრივ თანამშრომლობას, იქნება ეს საქართველო-აზერბაიჯანი-სომხეთი თუ საქართველო-აზერბაიჯანი-თურქეთი“, — იტყობინება საქართველოს პრემიერ-მინისტრის პრესსამსახური ერდოღანის სიტყვებზე დაყრდნობით.

გამოხატა რა თურქეთის მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და ნატოში გაწევრიანების მიმართ, პრეზიდენტმა ერდოღანმა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საკითხების მშვიდობიანი გადაწყვეტის სურვილს გაუსვა ხაზი.

პრეზიდენტმა ერდოღანმა ასევე აღნიშნა, რომ თურქეთის ინვესტიციები საქართველოში, მათ შორის, ენერგოსექტორში, 214 მილიონ აშშ დოლარს აღწევს. უნდა აღინიშნოს, რომ შეხვედრა „ნამახვანჰესის“ პროექტის განხორციელების წინააღმდეგ რამდენიმეთვიანი პროტესტის ფონზე გაიმართა. როგორც ცნობილია, პროექტის მთავარი ინვესტორია თურქული კომპანია ENKA Insaat ve Sanayi A.S. თუმცა, შეხვედრის დროს ორ ლიდერს ნამახვანჰესის საკითხი არ უხსენებიათ.

პრესკონფერენციაზე თურქეთის ლიდერმა ასევე ისაუბრა თანამშრომლობაზე ტერორიზმის წინააღმდეგ და ყურადღება გაამახვილა გიულენის მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაზე, რომელსაც თურქეთის ხელისუფლება ტერორისტულ ორგანიზაციად (FETÖ) მიიჩნევს.

ირაკლი ღარიბაშვილი უკრაინელ კოლეგას შეხვდა

„დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენს შორის მიღწეული შეთანხმებები რეალიზებული იქნება, რაც ჩვენ საშუალებას მოგვცემს არამხოლოდ გავაღრმავოთ ჩვენი ორმხრივი ურთიერთობები, არამედ ამით ხელს შევუწყობთ ჩვენი ქვეყნების წინ წაწევას ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე“, - ამის შესახებ უკრაინის პრემიერ-მინისტრმა დენის შმიგალმა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

მისივე თქმით, უკრაინა და საქართველო ერთობლივი ძალისხმევით ძალიან დიდ შედეგებს მიაღწევს.

„მე დაინტერესებული ვარ, რომ ქართულ-უკრაინული ურთიერთობები თანმიმდევრულად განვითარდეს ორმხრივი ინტერესის ყველა სფეროში. დარწმუნებული ვარ, რომ დღევანდელი მოლაპარაკებების შედეგად მიღწეული შეთანხმებები იქნება იმპულსი ორმხრივი სავაჭრო ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებისთვის, ერთობლივი საინვესტიციო ინფრასტუქტურული და ლოჯისტიკური პროექტების განვითარებისთვის და ხელს შეუწყობს კოორდინაციის გაძლიერებას ტურიზმისა და კორონავირუსთან ბრძოლის სფეროში. ამ კონტექსტში ძალიან მნიშვნელოვანი იყო შეთანხმება იმის შესახებ, რომ აღიარებულ იქნას დოკუმენტები ვაქცინაციის შესახებ, რაც მაქსიმალურად გაამარტივებს საზღვრის კვეთას ჩვენი მოქალაქეების მიერ, რომლებიც დიდი სიამოვნებით ინახულებენ ჩვენს ქვეყნებს. სამწუხაროდ, კორონავირუსის პანდემიამ ნეგატიურად იმოქმედა ჩვენი ორმხრივი ვაჭრობის დინამიკაზე და ჩვენი საქონელბრუნვა 2020 წელს 15,6%-ით შემცირდა, მაგრამ პირველი კვარტლის შედეგების მიხედვით მინდა აღვნიშნო, რომ ისევ გაიზარდა 4%-ით და ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის. ამ ნეგატიური ტენდენციების გადალახვის მიზნით ჩვენ შევთანხმდით, რომ წლის ბოლოს ჩვენ ჩავატარებთ ეკონომიკური თანამშრომლობის ქართულ-უკრაინული მთავრობათაშორის კომისიის მეათე ერთობლივ სხდომას და ასევე, უახლოეს მომავალში გაიმართება ტრანსპორტის, ენერგეტიკის სოფლის მეურნეობის და ტურიზმის საკითხებში სამუშაო ჯგუფის სხდომები.

უკრაინას და საქართველოს გააჩნია ძალიან მნიშვნელოვანი ტრანზიტული პოტენციალი და ამიტომ ჩვენც შევთანხმდით, რომ ძალიან დიდ ყურადღებას დავუთმობთ საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნების ერთობლივ განვითარებას და ასევე, სატვირთო გადაზიდვებს ჩვენი ქვეყნების შავი ზღვის პორტებს შორის. მე გამოვხატე დაინტერესება საინვესტიციო თანამშრომლობის უფრო აქტიურ განვითარებაზე.

ამასთან, ენერგეტიკული უსაფრთხოება ეს არის ერთ-ერთი საკვანძო მიმართულება ჩვენი შემდგომი თანამშრომლობის, ამიტომ ჩვენ შევთანხმდით, რომ ყველანაირად ხელს შევუწყობთ ე.წ.მწვანე ენერგეტიკის და ენერგოეფექტურობის განვითარებას. ეს და სხვა მნიშვნელოვანი თანამშრომლობისთვის მზად ვართ, რომ განვიხილოთ და მოვახდინოთ რეალიზაცია შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის და სუამ-ის ფარგლებში, სადაც ჩვენ მსგავსი პოზიციები და მიდგომები გვაქვს ამ ორგანიზაციების შემდგომ საქმიანობასთან დაკავშირებით.

უკრაინას და საქართველოს აქვს ძალიან დიდი ისტორია მჭიდრო კულტურული კავშირები და ხალხებს შორის კონტაქტები“, - განაცხადა დენის შმიგალმა.

10 პროდუქტი, რომელიც მაისში ყველაზე მეტად გაძვირდა

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2021 წლის მაისში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 0.7 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 7.7 პროცენტი შეადგინა.

რაც შეეხება საბაზო ინფლაციას, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2021 წლის მაისში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 6.5 პროცენტი შეადგინა, თამბაქოს გარეშე წლიური საბაზო ინფლაციის მაჩვენებელი კი 6.4 პროცენტით განისაზღვრა.

გთავაზობთ 10 პროდუქტს, რომელიც მაისში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ყველაზე მეტად გაძვირდა:

***მზესუმზირის ზეთი - 85%**
***მწვანე ლობიო - 35.8 %**
***შაქარი - 30.4 %**
***წიწიბურა - 28.2%**
***კვერცხი - 23.2%**
***მარგარინი - 23.9%**
***მწვანილი - 21.4 %**
***ქათმის ბარკალი - 19.7%**
***ქათმის ხორცი - 17.7%**
***შებოლილი თევზი - 17.6%**

ათეულში ვერ ხვდება, თუმცა 5.8%-ით არის გაძვირებული პური, მიუხედავად იმისა, რომ სუბსიდირებული პროდუქტია.

ეპიდემიოლოგიური ვითარება და ახალი შემთხვევები დედოფლისწყაროში

4 ივნისს საქართველოში კორონავირუსის 779 ახალი შემთხვევა გამოვლინდა. ამის შესახებ ინფორმაცია მთავრობის სპეციალურ ვებგვერდ stopcov.ge-ზე განახლდა. ქვეყანაში ბოლო 24 საათში 959 ადამიანი გამოჯანმრთელდა. ბოლო დღე-ღამეში კორონავირუსით გარდაიცვალა 23 პაციენტი. ბოლო 24 საათში ქვეყანაში ჩატარდა 30 026 ტესტი, მათ შორის ანტიგენის სწრაფი ტესტით — 15 527, „პისიარ“ ტესტით — 14 499. ქვეყანაში კორონავირუსის გამოვლენის დადებითობის მაჩვენებლებია: დღიური — 2,59 პროცენტი, ბოლო 14 დღის — 3,06 პროცენტი, ბოლო შვიდი დღის — 2,9 პროცენტი. საქართველოში კორონავირუსით ინფიცირების სულ 347 762 შემთხვევაა გამოვლენილი, მათგან 331 680 გამოჯანმრთელდა, 4 876 კი გარდაიცვალა. ქვეყანაში სულ აცრილია 161 947 ადამიანი, დღიურად აცრილია 6 317. კარანტინის რეჟიმშია 27, სტაციონარში მეთვალყურეობას 3 516 ადამიანი გადის, კლინიკურ სასტუმროში იმყოფება 619 პირი. ამასთან, 3 ივნისის მდგომარეობით, საქართველოში კორონავირუსის 833 ახალი შემთხვევა გამოვლინდა, გამოჯანმრთელდა 1 205 პაციენტი.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელის მარიეტა გონაშვილის ინფორმაციით, დედოფლისწყაროს ზემო ქედის N1 საჯარო სკოლა ჩაიკეტა კორონავირუსის გამოვლენილი შემთხვევების გამო.

კოვიდ-19 დაუდასტურდა ასევე ქ. დედოფლისწყაროს N2 საბავშვო ბაღის ორ თანამშრომელს. ეს ბაღი დაკეტილი იყო. ვირუსი სამ თანამშრომელსა და ბავშვებსაც დაუდასტურდათ. საბავშვო ბაღი 7 ივნისიდან დაიწყებს ფუნქციონირებას, რადგან ყველა თანამშრომელი დისტანციურ რეჟიმში მუშაობდა და შეხება არავისთან ჰქონიათ.

4 ივნისის მდგომარეობით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში 3 ახალი ფაქტი გამოვლინდა. 2021 წელს სულ არის 301 დადასტურებული შემთხვევა, მთელი პანდემიის პერიოდში კი - 968, აქედან გამოჯანმრთელდა- 915, თვითიზოლაციაში ამ დროისათვის იმყოფება 95 პირი, სტაციონარში - 9 პაციენტი.

მარიეტა გონაშვილის განცხადებით, ამ დროისათვის მუნიციპალიტეტში ცირკულირებს ბრიტანული შტამი, რომელიც სწრაფად ვრცელდება. სამწუხაროდ, მოიმატა დაავადების ლეტალურმა შედეგმა. კოვიდ-19-ით ავადდებიან ახალგაზრდებიც.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის თანამშრომლები მოუწოდებენ ყველას, დაიცვან დისტანცია და ატარონ პირბადე, რათა პანდემიისგან დაიცვან როგორც საკუთარი, ასევე ახლობლების სიცოცხლე.

ძუძუთი კვების სასწაული

„სამშობლო, დედის ძუძუი არ გაიცვლების სხვაზედა!“... რაფიელ ერისთავმა ეს ემოციური სიტყვები საუკუნის წინ თქვა და დღესაც, როდესაც ამ სტრიქონებს ისმენ, გრძნობ, რომ, როგორც სამშობლოს ვერასოდეს ვერ ჩაანაცვლებს ვერცერთი ზე-სახელმწიფოს განუსაზღვრელი კომფორტი და ცხოვრების ხარისხი, ისე ვერასოდეს ჩაანაცვლებს ვერცერთი ხარისხიანი ხელოვნური საკვები დედის რძეს, რომელიც შეუცვლელია და კაცობრიობის ისტორიაში მისი ანალოგი ჯერ არ გამოუგონიათ.

მსოფლიოში მეორე წელია პანდემია მძვინვარებს, არ დარჩა დედამიწაზე ადგილი, სადაც ამ ვერაგმა ვირუსმა ვერ შეაღწია, თუმცა, დარჩა კითხვები, რატომ გადაიტანეს ადამიანებმა იგი სხვადასხვა სირთულით და რა ქმნის იმუნიტეტს, რომელსაც შეუძლია პანდემიასთან ბრძოლა. საბოლოოდ მეცნიერებს აქვთ უკვე ნაწილობრივი დასკვნები და მათ შორის ერთ-ერთ მძლავრ მეთოდად ძუძუთი კვება სახელდება. დღეს ჩვენი გაზეთის სტუმრები არიან ჩვენს მუნიციპალიტეტში ცნობილი და ყველასთვის საყვარელი **მანანა ექიმი (პედიატრი მანანა ბეგლარიშვილი),** ასევე ჩვენს დედაქალაქში ცნობილი პედიატრი, ბ-ნი **დიმა ტოკლიკიშვილი.** პროფესიონალი ექიმები ჩვენს კითხვებს გასცემენ პასუხებს და საზოგადოებაში იმ „ლაით“ მიდგომებს , „მერე რა თუ, დედა ბავშვს ძუძუს არ მოაწოვებს“ ამომწურავად უპასუხებენ. - **რამდენად მნიშვნელოვანია წლამდე ბავშვისთვის დედის რძე? რას ნიშნავს ახალშობილისთვის დედის ხსენი და რა დატვირთვა აქვს მას ახალი კვლევების მიხედვით? რა რეკომენდაციებს მისცემთ მომავალ დედებს? რა კავშირი აქვს ძუძუთი კვებას პანდემიასთან...**

მანანა ბეგლარიშვილი, **პედიატრი** - „ძუძუთი კვება ის ბუნებრივი პროცესია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ბავშვის და დედის ჯანმრთელობა. დედის რძის შემადგენლობა ყოველი კვებისას იცვლება და ჩვილს აძლევს ყველა იმ კვებით ნივთიერებას, რაც მოცემული პერიოდში მისი ჯანმრთელობისთვისაა საჭირო. ის ამცირებს ასთმის და ალერგიის რისკებს, ხელს უშლის მოწიფულ ასაკში ჭარბწონიანობის და მეორე ტიპის დიაბეტის განვითარებას, შეიცავს ანტისხეულებს, რომელიც იცავს ბავშვს ისეთი დაავადებებისგან, როგორიცაა დიარეა და პნევმონია, ბავშვთა სიკვდილიანობის ორი ყველაზე ხშირი მიზეზი. კვლევების მიხედვით, ჩვილები, რომლებიც 6 თვემდე მხოლოდ დედის რძით იკვებებიან, ნაკლებად ავადდებიან გრიპის ვირუსებით და სხვადასხვა ინფექციებით. ძუძუთი კვების დროს დედა-შვილის ფიზიკური სიახლოვე, კანით კანზე შეხება და თვალებით კონტაქტი ბავშვს დაცულობის განცდას უჩენს და ეხმარება სანდო მიჯაჭვულობის ჩამოყალიბებაში. ლაქტაცია ჩვილთა მოულოდნელად გარდაცვალების სინდრომის პრევენციაცაა. ადრეულ რძეს, რომელიც სარძევე ჯირკვლებში ბავშვის დაბადების შემდეგ (ან ორსულობის მიწურულს) წარმოიქმნება, ხსენი ეწოდება. ამ სქელ, წებოვან სითხეს ხშირად „თხევად ოქროსაც“ უწოდებენ, არამხოლოდ ყვითელი ან ნარინჯისფერი შეფერილობის გამო, არამედ იმიტომაც, რომ ახალშობილისთვის ის მეტისმეტად ძვირფასია. თავდაპირველად ხსენი ძალიან ცოტაა, სულ რაღაც 40-50 მგ. დღე-ღამეში, მაგრამ რადგან ბავშვს ძალიან პატარა კუჭი აქვს, ეს მისთვის სავსებით საკმარისია. ხსენს ბუნებრივ ვაქცინადაც მოიხსენიებენ, ვინაიდან მაღალი კონცენტრაციით შეიცავს ანტისხეულებს და სისხლის თეთრ უჯრედებს. მისი შემადგენლობა კი ფასდაუდებელია ბავშვის საჭმლის მომნელებელი სისტემისთვის. ხსენი მდიდარია მინერალებით და ვიტამინებით (A, E და K). მაღალია მასში ცილების კონცენტრაციაც. ხსენი ადვილი ასათვისებელია. ამასთან, აქვს საფაღარათო მოქმედებაც და ბავშვს პირველი მეკონიუმისგან (მუცლადყოფნის პერიოდში დაგროვილი განავლოვანი მასისგან) ნაწლავის დაცლაში ეხმარება.

მომავალ დედებს მინდა რამდენიმე რჩევა მივცე: ძუძუს წოვის პროცესში ქალის ორგანიზმში გამომუშავდება რძის რაოდენობისა და გამოყოფის დასარეგულირებელი ჰორმონები. რაც უფრო ხშირად წოვს ბავშვი ძუძუს, მით უფრო მეტია რძის რაოდენობა. ქალის ორგანიზმი იმდენი რაოდენობის რძეს გამოიმუშავებს, რამდენსაც გასცემს. ასევე რძის წარმოქმნას ხელს უწყობს რიგი ფსიქოლოგიური ფაქტორები, მაგალითად, დედის სურვილი ჩვილი ძუძუთი კვებოს, დედის დადებითი ემოციური განწყობა, დედა-შვილის კანით კანთან კონტაქტი, მშვიდი და მყუდრო ოჯახური გარემო. ძუძუთი კვება მნიშვნელოვნად ამცირებს ბავშვთა ავადობას, ხელს უწყობს დედა-შვილს შორის ემოციური კავშირის ჩამოყალიბებასა და ბავშვის სიმშვიდეს. ვთხოვ ყველა დედას, არ მოაკლოთ თქვენს ჩვილს ეს სიამოვნება და არ შეწყვიტოთ ძუძუთი კვება. ბოლოს მინდა აღვნიშნო, ზემოთ ჩამოთვლილი სასარგებლო თვისებების გარდა, ძუძუთი კვება დედისთვისაც უფრო კომფორტულია, არ სჭირდება ნარევის მომზადება, ღამით ადგომა, საკვებისთვის საჭირო ჭურჭლის რეცხვა და დეზინფექცია, მატერიალური თვალსაზრისითაც ზოგავს ოჯახის ბიუჯეტს.

აუცილებლად უნდა შევეხოთ პანდემიის გავლენას ძუძუთი კვებასთან. COVID-19-ით ინფიცირებულ დედას შეუძლია ძუძუთი კვებოს ახალშობილი, თუ დაიცავს შესაბამის წესებს. ქალის რძე შეიცავს მნიშვნელოვან ანტისხეულებს და ისეთ ნივთიერებებს, რომლებიც იცავს ახალშობილს სხვადასხვა რესპირაციული ინფექციებისგან. ბავშვის ნორმალური ზრდა-განვითარების პროცესში დედის რძის სარგებელზე უამრავი ფაქტი მეტყველებს. ის ასევე ხელს უწყობს ბავშვის დაცვას სხვადასხვა ინფექციური დაავადებებისაგან და მომავალში ჭარბი წონისგან.

როგორ უნდა ვმართოთ რისკი?

ჯანმო-ს ამჟამინდელი რეკომენდაციით, COVID-19-ით ინფიცირებულ ქალებს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლიათ ახალშობილების ძუძუთი კვება, მაგრამ მათ უნდა მიიღონ სიფრთხილის ზომები, მათ შორის:

*ბავშვის კვების დროს, აუცილებელია პირის ღრუს და ცხვირის დაფარვა ნიღბით.

*ხელების დაბანა საპნით და წყლით არანაკლებ 20 წამის განმავლობაში ბავშვთან შეხებამდე/კონტაქტამდე და მის შემდეგ.

*მუდმივად გაწმენდა და დეზინფექცია იმ ზედაპირების, რომელთანაც ჰქონდა შეხება.

ჩვილის დედასთან მჭიდრო კონტაქტი და ძუძუთი ადრეული და ექსკლუზიური კვება ხელს უწყობს ბავშვის ნორმალურ განვითარებას.

იმ შემთხვევაში, თუ დედა COVID-19-ით ინფიცირებულია, მას თავისუფლად შეუძლია მჭიდრო კონტაქტი იქონიოს ჩვილთან, აიყვანოს ხელში, აჭამოს... ჰქონდეს სხეულებრივი კონტაქტი, იცხოვროს მასთან ერთად ერთ ოთახში. ჯანმო დედებს ურჩევს ჩვილები ძუძუთი გამოკვებონ პირველი 6 თვის განმავლობაში. 6 თვიდან მეძუძური ბავშვები იწყებენ დამატებით კვებას რკინის შემცველი პროდუქტით - ბოსტნეულით. 1 წლიდან პატარებს სჭირდებათ კიდევ უფრო მეტი ვიტამინი და ისინი გადადიან საერთო სუფრაზე. დედის რძით ბავშვის კვება აუცილებელია 1 წლამდე, ხოლო რეკომენდირებული 2 წლამდე და ზემოთაც.

დიმა ტოკლიკიშვილი, **პედიატრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი:** - ადამიანმა უზარმაზარი ტექნიკური რევოლუცია მოახდინა, დაიპყრო კოსმოსი, შეძლო გამოეგონებინა ტელევიზორი, კომპიუტერი, მობილური ტელეფონი. შექმნა ქიმიით გამდიდრებული ბავშვთა სხვადასხვა სახის ხელოვნური საკვები, მაგრამ დედის რძის ანალოგი მაინც ვერ შექმნა!

ვერც ვერასდროს შექმნის!

ქალის რძე - საუკეთესო, განუმეორებელი, სტერილური და ცოცხალი ბიოლოგიური საკვებია. ქალის რძე ეხმარება ჩვილს იმუნიტეტის ჩამოყალიბებაში და მნიშვნელოვნად ამცირებს სხვადასხვა ინფექციების, ალერგიული თუ სხვა სახის დაავადებების განვითარების რისკს.

დედის რძე – ღვთიური საკვები – ბავშვის პირველი აცრაა!

განსაკუთრებული როლი ენიჭება პირველ დღეებში ხსენით კვებას. პირველი და შეუცვლელი იმუნიზაცია - ხსენი თქვენი პატარის მძლავრი იმუნიტეტის საძირკველია, იმ იმუნიტეტისა, რომელმაც თქვენი შვილი მომავალი პანდემიებისგან უნდა გადაარჩინოს!

დღესაც ბევრს არ ესმის, რატომაა რომ კოვიდისგან ყველა ერთნაირად არ ავადდება! პასუხი ერთია - იმუნიტეტია პასუხისმგებელი ჩვენს ორგანიზმში განვითარებული დაავადების სიმძიმეზე. მძლავრი იმუნიტეტი - ეს გადარჩენა და ნორმალური ცხოვრების გაგრძელებაა. ძუძუთი კვება ხელს უწყობს ბავშვის სრულყოფილ ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას; „ოცნების პროდუქტი“, ანუ დედის რძე ყოველთვის მზადაა ზუსტად იმ სახით (შემადგენლობით და ტემპერატურით), როგორც თქვენს შვილს სჭირდება. ის ბუნებრივად განახლებადი პროდუქტია. ძუძუთი კვება ის ბუნებრივი რესურსია, რომელზეც უარის თქმა უძვირფასესი პროდუქტის დაკარგვის ტოლფასია.

კოვიდმა თითქოს დაგვავიწყა სხვა დაავადებები, მაგრამ ისინი არსად წასულა. ერთ-ერთია ავთვისებიანი სიმსივნე. ამიტომ ძუძუთი კვება მხოლოდ ჩვილისთვის არ არის სასარგებლო, ეს პროცესი ამცირებს ძუძუსა და საკვერცხეების კიბოს განვითარების რისკს.

დედებო! ნუ იტყვით უარს ღვთის საჩუქარზე! ნუ დაუკარგავთ თქვენს შვილებს ჯანმრთელ მომავალს!

პ.ს დასასრულს, მე, როგორც სამი შვილის დედა, ვაცნობიერებ რა იმ პასუხისმგებლობას და ბოლომდე არ გამოყენებულ შანსებს ბუნებრივი კვების მიმართულებით, დიდი პატივისცემით და მოკრძალებით ვთხოვ ყველა მომავალ დედას, არ გაუშვას შანსი და არ დაიშუროს შვილისთვის ის უნიკალური სითხე, რომელსაც დედის რძე ჰქვია, რადგან, შეიძლება შვილისთვის ასეთი განუზომელი სიკეთის გაკეთების შესაძლებლობა ცხოვრებაში სხვა დროს, უბრალოდ, აღარ მიეცეს!

მოამზადა
ელზა ხარაშვილმა

„ბავშვი სათავეა, დასაწყისია დიდის ადამიანისა“

სტატიის სათაური ილია ჭავჭავაძის სიტყვებია, რომელიც, ალბათ, ყველაზე ზუსტად გამოხატავს ბავშვისადმი განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენის მიზეზს. ბავშვები ჩვენი მომავალია, ჩვენი იმედი და ის მოკიაფე ვარსკვლავები, რომლებიც მუდმივად უნდა ანათებდნენ და ქმნიდნენ როგორც ერის, ასევე ქვეყნის ძლიერი მომავლის ფუნდამენტს. მათ ყურადღება, სითბო, მზრუნველობა, გაგება და პატივისცემა სჭირდებათ.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლა საკუთარ აღსაზრდელებს ასეთ გარემოს ნამდვილად უქმნის. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე უამრავი მოღიმარი, განათებული და გაბრწყინებული სახის მქონე ბავშვის დანახვა, ნამდვილად სასიამოვნო და აღმაფრთოვანებელი იყო. იტყვით, ყოველი დღე ბავშვის უნდა იყოს, მასზე ზრუნვა მხოლოდ ერთ დღეს არ უნდა მივანდოთო და ამაში ნამდვილად დაგეთანხმებით. თუმცა, იმასაც გეტყვით, რომ ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლა საკუთარ ბავშვებზე ზრუნვისთვის დღეებს არ აწესებს. ამას სკოლის დირექციის, მასწავლებლებისა და ბავშვების ურთიერთობაზეც შეატყობთ. ერთიანად, შეთანხმებული მოქმედებით მათ წარმატებები და წინსვლა მოაქვთ საკუთარი სკოლის, სოფლისა თუ ქვეყნისათვის. 1 ივნისს გამართული ღონისძიება კი ამის ფორმამიცემული დასტურია, სავსე სიხარულით, უამრავი მუსიკალური თუ საცეკვაო ნომრით, სპორტული შეჯიბრებებით, რომლებიც მოსწავლეებს საკუთარი თავის რეალიზების მაქსიმალურ შესაძლებლობას აძლევდა.

სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა **მაია ხუნაშვილმა** სიტყვით მიმართა ბავშვებს, მშობლებსა და მოწვეულ სტუმრებს, მიულოცა მათ ეს დღე და ისაუბრა სკოლისა და ბავშვების წარმატებებზე, მიმდინარე და დასრულებულ პროექტებზე, რომლებსაც ჩვენ სტატიაში აუცილებლად შევეხებით: **„ბავშვებო, დღეს თქვენი დღეა, 1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე. 1950 წლიდან, ის მსოფლიოს ძალიან ბევრ ქვეყანაში აღინიშნება. ეს არის დღე, როდესაც სახელმწიფო განსაკუთრებით ვალდებულია უზრუნველყოს თითოეული ბავშვის კეთილდღეობა, რაც მათი სიცოცხლის, ჯანმრთელობის დაცვაში გამოიხატება. თქვენთვის დღეს ხელმისაწვდომია განათლებისა და უკეთესი ცხოვრების სათანადო პირობები. ბავშვები ჩვენი უპირველესი საზრუნავია, თითოეული ჩვენგანის ვალდებულებაა შევუქმნათ მათ ჯანსაღი და უსაფრთხო გარემო განვითარებისთვის, მივცეთ უკეთესი მომავალი. უსაფრთხო და მშვიდობიან გარემოში გაზრდილი, განათლებული მომავალი, უკეთესი საზოგადოების ფორმირებაში და ქვეყნის სწორ განვითარებაში ჩადებული საუკეთესო ინვესტიციაა. გასულ წელს და დღესაც, ბავშვთა საერთაშორისო დღის აღნიშვნა, კორონავირუსის პანდემიის გამო, განსაკუთრებულ პირობებში გვიწევს. დღევანდელი ღონისძიებაც რეგულაციების დაცვით მაინც ტარდება. ჩვენს ბავშვებს ჰქონდათ უწყვეტი განათლების მიღების საშუალება. განსაკუთრებით ხაზგასასმელია მასწავლებლების ძალისხმევა და ენერგია, რისთვისაც კიდევ ერთხელ ვუხდი მათ მადლობას. ასევე მსურს, მივულოცო ყველა ბავშვს, მათ მშობლებს ეს დღე. ვუსურვო ოცნებების ასრულება, უზრუნველი გარემო და ბედნიერი მომავალი. თქვენზეა დამოკიდებული ჩვენი აწყმოც და მომავალიც“.**

საზეიმო ღონისძიების პარალელურად იმ დასრულებული პროექტების პრეზენტაციაც გაიმართა, რომლებიც ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ იყო ინიცირებული და რომელსაც მხარი „საქართველოს ახალგაზრდულმა იდეამაც“ დაუჭირა. ერთ-ერთი მათგანი **ჯაბა ჯამასპიშვილის** იდეით მომზადებული და გამარჯვებული პროექტი „სკოლის გარემო ჩვენი სიამაყეა“ გახლდათ. ჯაბამ წარდგენილ პრეზენტაციაზე ისაუბრა პროექტის შინაარსზე, მისი განხორციელების გზებზე, მიზნებსა და ამოცანებზე, ასევე იმ სიკეთეებზე, რომელიც ამ პროექტმა სკოლას და მოსწავლეებს მოუტანა: **„მოგეხსნებათ ყველაფერი იდეით იწყება. იდეა მაშინ დაიბადა, როდესაც პირველად გადავლახეთ ახალი სკოლის ზღურბლი. მიუხედავად თანამედროვე სტანდარტებს დაქვემდებარებული სკოლის შენობისა, ჩვენ არ გვქონდა კეთილმოწყობილი ეზო. სწორედ ამ დღიდან დავისახეთ მიზნად მასზე ზრუნვა და მოწყობა. გადავწყვიტეთ, დაგვეწერა პროექტი და ამ გზით მოგვეპოვებინა საჭირო თანხა. ახალგაზრდული იდეის ფარგლებში გაჩნდა შესაძლებლობა, სკოლის ეზოს გამწვანების იდეა რეალობად გვექცია. პროექტის პრიორიტეტს გარემოს დაცვა წარმოადგენდა. მისი განხორციელებისთვის გამოგვეყო თანხა 800 ლარის ოდენობით. შევქმენით სამოქმედო გეგმა, თუ რა უნდა გაგვეკეთებინა, შევარჩიეთ სხვადასხვა სახეობის მცენარე, დავუკავშირდით სხვადასხვა მაღაზიებს, სანერგეებს, დავადგინეთ ფასები და ავარჩიეთ შედარებით მცირე ზომის, ხელმისაწვდომი ფასის მქონე ნერგები. ამის შემდეგ შევადგინეთ ხარჯთაღრიცხვის ცხრილი. მოვაწესრიგეთ და მოვამზადეთ ეზო ნერგებისთვის, რომლებიც მოსწავლეების დახმარებით დავრგეთ და მოვრწყეთ. პირადად დავიწყე თანადაფინანსების და მხარდამჭერების მოძიება, რომელმაც ნაყოფი გამოიღო. აღმოჩნდა რომ სკოლის გარემოზე ზრუნვა ბევრი მაჩხაანელის სურვილი ყოფილა. საჯარო მიმართვის შემდეგ, სულ მცირე დროში, გამოჩნდნენ პროექტის მხარდამჭერები, რომლებმაც შემოგვწირეს სხვადასხვა სახის ნერგები, ასევე გაგვიწიეს ფინანსური მხარდაჭერაც. სკოლის შენობაში განთავსებულ დაფაზე ყოველდღიურად ვანახლებდით ინფორმაციას თითოეული შემოსული ლარის რაოდენობის შესახებ. შემოწირული ფინანსებით შევიძინეთ მცენარეებისთვის აუცილებელი სარწყავი სისტემა, რომელიც უფრო გააიოლებდა მათ მორწყვას, დარჩენილი თანხაც მოვახმარეთ ეზოს გამწვანებასა და გამრავალფეროვნებას.**

დღესდღეობით ყველაფერი კარგად არის მოწყობილი. მიუხედავად ამისა, ვიცით, რომ ყველა პროექტს ახლავს საფრთხე. ეს საფრთხეები იყო: გარემოში მაღალი ტემპერატურა, ნაკლებად ნაყოფიერი ნიადაგი (რომლის შავი მიწით განოყიერებაც ვეცადეთ) და ზაფხულის დღეებში მორწყვის პრობლემა. იმედი მაქვს, რომ ეს საკითხი გადაიჭრება ჩვენი მოსწავლეების მხრიდან, რამეთუ ისინი ძალიან კარგად და აქტიურად იყვნენ ჩართულები გამწვანებისა და მორწყვის პროცესებში. პროექტის მოთხოვნების შესაბამისად, ჩავატარეთ აგრეთვე ტრენინგი ნარჩენების მართვაზე. ჩვენ ნამდვილად ვართ ამაყნი, რომ პროექტის დასასრულს გვაქვს ასეთი ეფექტი, ჩვენი სკოლის მოსწავლეებს აუმაღლდათ მოტივაცია, რომ მოუარონ თითოეულ მცენარეს და იზრუნონ მათზე. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროექტი მათი ძალებით განხორციელდა. მიგვაჩნია და გვჯერა, რომ დღევანდელი სკოლის გარემო უმოკლეს დროში გახდება ყველასთვის სასიამოვნო და საამაყო ადგილი“.

კიდევ ერთი პროექტი, რომელიც ზემო მაჩხაანის სკოლამ მოიგო, სასკოლო სპორტული ინვენტარის შეძენას და დარბაზის გამრავალფეროვნებას ეხებოდა. იდეის ავტორმა, **მარიამ ოზბეთელაშვილმა**, პროექტი მიმოიხილა და სკოლისთვის მის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი: **„ჩვენ კიდევ ერთი პროექტი, „ჯანსაღი თაობა 21-ე საუკუნეს“ მოვიგეთ, რომელიც სკოლის სპორტული ინვენტარის შეძენას ემსახურებოდა. თავდაპირველად, სპორტული ინვენტარის შეძენის სურვილი სკოლის დაწვის შემდეგ გამიჩნდა. მეშვიდე კლასში ვიყავი, როდესაც ჩემს თანატოლებთან ერთად ფრენბურთის თამაში დავიწყე და გადავწყვიტეთ, რომ მისი შესწავლა პროფესიონალურ დონეზე გაგვეგრძელებინა. მაგრამ, სამწუხაროდ, სკოლის დაწვის შემდეგ ყველანაირი გასართობი თუ სავარჯიშო ინვენტარის გარეშე დავრჩით. ამიტომ, მუდმივად მქონდა სურვილი, რომ სანამ სწავლას დავამთავრებდი, სკოლისთვის ფრენბურთის ბადე მეყიდა. და ახლახანს, როდესაც სკოლა დავამთავრე, გამოჩნდა „საქართველოს ახალგაზრდული იდეის“**

კონკურსი ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ. რაც შეეხება პროექტის განხორციელებას, ის ძალიან სასიამოვნო პროცესი აღმოჩნდა. როდესაც სკოლამ გაიგო, რომ პროექტი მოვიგეთ, ყველა გაბრწყინებული თვალებით გვხვდებოდა, რაც ჩემთვის ძალიან დიდი მოტივაცია იყო. იმ პერიოდში თავი ამაყადაც ვიგრძენი. იმასაც გეტყვით, რომ პროექტის განხორციელებას ბევრი დაბრკოლება ახლდა თან. პანდემიის გამო, პროექტის დაწერამდე და მისი განხორციელებისას, ფასები იყო საგრძნობლად მომატებული და განსხვავებული. გაძვირდა როგორც ინვენტარი, ასევე მისი ტრანსპორტირებაც. ეს 800 ლარიც თითქოს „შეიბოჭა“ და ვეღარ ვახერხებდი ყველაფერზე გადანაწილებას. ბოლოს, ჩემი ოჯახის დახმარებით ინვენტარის ტრანსპორტირება მაინც მოვახერხეთ. სპორტული შეჯიბრებებისთვის ყველაფერი ორ-ორი წყვილი ვიყიდე. ესენია: ტენისის მაგიდა თავისი აღჭურვილობით, ფრენბურთის ბადე, ბადბინტონი, სახტუნაო ტომრები, ჰულაჰუპები, სახტუნაოები და ა.შ. ვიმედოვნებ, მომავალში სპორტული გაკვეთილები უფრო სახალისო, საინტერესო და პოზიტიური გახდება. ამ ყველაფრისთვის, შესაძლებლობებისთვის, დახმარებისთვის დიდი მადლობა მინდა გადავუხადო „ახალგაზრდულ იდეას“. მადლობა მათ იმ შანსისთვის, რომელსაც ახალგაზრდებს მსგავსი პროექტების განსახორციელებლად აძლევენ.“

პრეზენტაციებს „ახალგაზრდული იდეის“ წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. **სოფიო გოგილაშვილმა** მიულოცა ყველას ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე და აღნიშნა: **„ძალიან მოხარულები ვართ, რომ ჩვენმა დაფინანსებულმა პროექტებმა ასეთი კარგი შედეგი მოუტანა ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის მოსწავლეებს. იმედია, მომავალში კიდევ არაერთხელ ვითანამშრომლებთ. გისურვებთ წარმატებებს.“** გეტყვით, რომ ევროპის ფონდის „ახალგაზრდული იდეის“ პროგრამა მიზნად ისახავს 16-იდან 21 წლამდე ახალგაზრდების სამოქალაქო ჩართულობის გაზრდას, მათში ლიდერობისა და თანამედროვე ცხოვრებისათვის სხვა საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას. 2008-2015 წლებში „ახალგაზრდული იდეის“ პროგრამით 700-მდე ახალგაზრ-

და მომზადდა, რომლებმაც მოახერხეს 5000-ზე მეტი თანატოლის ჩართვა ადგილობრივი პრობლემების მოგვარებაში. ამჟამად საქართველოში „ახალგაზრდული იდეის“ 25 კომიტეტი ფუნქციონირებს.

წარდგენილი პროექტების შეჯამებას ძალიან ბევრი დადებითი გამოხმაურება მოჰყვა დამსწრე საზოგადოებისგან. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **ეთერ ზურიკაშვილმა**, მიულოცა თითოეულ ბავშვს პირველი ივნისი და წარმატება უსურვა მომავალ საქმიანობაში: **„ბავშვებო, დღეს თქვენი დღეა, მინდა, რომ მუდამ ფერადი ბავშვობა, სიხარული და სიკეთე გქონდეთ. აქ ძალიან ბევრი ისაუბრეს იმაზე, თუ როგორი აქტიური ბავშვები ხართ. მიხარია, რომ ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლა ყოველთვის გამარჯვებულია. ვიცი, რომ ეს წარმატება თქვენი და თქვენი პედაგოგების, დირექციის დამსახურებაა. მახსოვს რა პირობებში იყავით, რა გადაიტანეთ. ვერ გამომიხატავს ის სიხარული, თუ როგორ სკოლაში დაიწყეთ სწავლა. დღეს ყველა პირობა გაქვთ იმისთვის, რომ კარგად ისწავლოთ და თქვენი სკოლა და ქვეყანა ასახელოთ. მინდა, მოგილოცოთ დღევანდელი დღე. წმინდა ნინო ფარავდეს სრულიად საქართველოს და თქვენ. მინდა მადლობა ვუთხრა თქვენს მოსწავლეთა თვითმმართველობას, ჯაბა ჯამასპიშვილს, მარიამ ოზბეთელაშვილს და ყველას. დაე, თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოში ლაღად და ბედნიერად გეცხოვროთ.“**

ღონისძიებას და გამართულ პრეზენტაციებს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის კოორდინატორი და ადგილობრივი განვითარების ჯგუფის ხელმძღვანელი ანა ბენაშვილიც ესწრებოდა: **„მიხარია, რომ ასეთი აქტიური და წარმატებული ბავშვები ჰყავს ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლას. ნამდვილად დასაფასებელია თქვენი შრომა და მონდომება. ჩვენ კიდევ არაერთი კონკურსის გამოცხადებას ვაპირებთ, სადაც დარწმუნებულები ვართ, კვლავ აქტიურად მიიღებთ მონაწილეობას. გვიხარია თქვენი ყოველი წარმატება. გისურვებთ წინსვლასა და განვითარებას“.** აღსანიშნავია, რომ ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მათ მიერ გამოცხადებულ ვიდეოკონკურსში, „ახალგაზრდები კოვიდ-19-ის წინააღმდეგ“ პირველი ადგილი დაიკავეს

დიახ, „ბავშვი სათავეა, დასაწყისია დიდის ადამიანისა“. მჯერა, რომ ამ სკოლის ბავშვებიც მათი უფროსი, მე ვიტყოდი, მეგობარ-მასწავლებლების დახმარებით დიდი ადამიანები გაიზრდებიან. ექნებათ ბედნიერი, ლაღი და უზრუნველი მომავალი, დაცულობის, უსაფრთხოების, მნიშვნელოვან ადამიანებად აღქმის განცდა, ისეთივე, როგორც მათ პირველ ივნისს და არამარტო, ზემო მაჩხაანის სკოლის ეზოში ჰქონდათ და აქვთ. მადლობა სკოლის დირექციას, მადლობა მასწავლებლებს და მადლობა ბავშვებს, საკუთარი, გამორჩეული ინდივიდუალურობისთვის.

გაზეთი „შირაქი“ უერთდება მილოცვებს და დედოფლისწყაროელ თუ სრულიად საქართველოს მომავალ თაობას ულოცავს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს. მომავალი უდაოდ თქვენია, დიდი ადამიანების!

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

„ბავშვები - ბავშვებისათვის“

პირველი ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა. ეს დღე 1950 წლიდან მრავალ ქვეყნაში აღინიშნება და წარმოადგენს იმის შეხსენებას, რომ სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს თითოეული ბავშვის კეთილდღეობა, რაც გულისხმობს მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ხელმისაწვდომი განათლებისა და ცხოვრების სათანადო პირობებით სარგებლობის უფლებათა განხორციელებას. ბავშთა დაცვის დღეს საკუთარი დროშაც გააჩნია, რომელიც მსოფლიოს 30-ზე მეტმა ქვეყანამ სცნო. ეს მწვანე ფერის დროშაა, რომლის ცენტრშიც გამოსახულია დედამიწა და მის გარშემო 5 სხვადასხვა ფერის ადამიანის ფიგურა. ამ დღეს სხვადასხვა ქვეყანაში ბავშვებისთვის მასობრივი, გასართობი და კულტურული ღონისძიებები ეწყობა.

ბავშვთა დაცვის დღეს განსაკუთრებით ცდილობენ დაეხმარონ ბავშვთა სახლებს, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებს, მიუსაფარ, გაჭირვებულ ოჯახებს, მრავალშვილიანებს.

სწორედ ამ დღესთან დაკავშირებით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, გაიმართა ღონისძიება სლოგანით „ბავშვები ბავშვებისთვის“, რომელიც „საქართველოს ახალგაზრდული ხედვის”, დედოფლისწყაროს მერიის, დედოფლისწყაროს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის ეგიდით ჩატარდა. დაანონსებულ ღონისძიებაზე დასასწრებად დედოფლისწყაროს ცენტრალურ სტადიონზე თავი მოიყარეს პატარებმა და მათმა მშობლებმა. გამოფენა-გაყიდვაზე გამოტანილ ხელნაკეთ ნივთებს ბევრი მნახველი და შემფასებელი ჰყავდა. მხიარულმა ანიმატორებმა სრულად მიიპყრეს პატარების ყურადღება. ღონისძიებაზე საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა შეასრულეს საცეკვაო ნომრები, პატარებმა ნახეს ანიმაციური ფილმი, ცაში გაუშვეს ფრანები და დასასრულს ყიჟინით შეეგებნენ ფეიერვერკს.

ღონისძიებას ესწრებოდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, რომელმაც დამსწრე საზოგადოებასსიტყვით მიმართა და აღნიშნა: **„მე ვარ ძალიან ბედნიერი, რადგან, კოვიდსიტუაციის და მკაცრი შეზღუდვების გამო, რომელსაც ჩვენ მკაცრად ვიცავთ მუნიციპალიტეტში, ფაქტობრივად, ორი წელია ამდენი ბავშვი ერთად არ მინახავს. მიხარია, ამდენი ბედნიერი და გახარებული ბავშვის სახე რომ ვხედავ. აქვე მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო პატარა ალექსის მშობლებს, რომლებმაც შვილი ონკოდაავადების შედეგად დაკარგეს. ახალგაზრდა მშობლებმა საკუთარ თავში გამონახეს ძალა იმისა, რომ იზრუნონ სხვა ბავშვებზე. მათი ინიციატივით, „საქართველოს ახალგაზრდული ხედვის” აქტივისტების და მერიის მხარდაჭერით მოეწყო დღეს ეს ზეიმი. გარდა იმისა, რომ ბავშვებისთვის გასართობი ღონისძიებაა წარმოდგენილი, არის გამოფენა-გაყიდვა, საიდანაც შემოსული თანხები მოხმარდება ქველმოქმედებას, კერძოდ, ერთი პატარის ონკოლოგიურ მკურნალობას. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველას ამ დღის ორგანიზებისთვის.“**

ალექსის დედა, ნატალია ღვედაშვილი-კორნევა: **„დღევანდელი ღონისძიების, „ბავშვები ეხმარებიან ბავშვებს“, იდეა გამოიხატება იმაში, რომ გვინდოდა ბავშვებისთვის ღია ცის ქვეშ გვეჩვენებინა ანიმაციური ფილმი, გამართულიყო ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა. რადგან ამ ღონისძიებას აქვს საქველმოქმედო სახე, შესაწირ ყუთებში სიმბოლური თანხა ჩაიყრება, რომელიც მოხმარდება ონკოლოგიურად დაავადებულ ბავშვს. ჩვენ შეიძლება ტრადიციული სახე მივცეთ და მომავალშიც გავაგრძელოთ ასეთი საქველმოქმედო ღონისძიებები. დასასრულს მოეწყობა ფრანების გაშვება და საღამო დასრულდება ფეიერვერკით.“**

ევგენია ხუციშვილი (წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის პედაგოგი): „დღევანდელი ღონისძიება ეძღვნება ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს. ჩვენ წარმოვადგინეთ საპატრიარქო სკოლა. ბავშვებმა წარმოადგინეს თავიანთი ხელნაკეთი ნამუშევრები, რომელიც მოამზადეს სპეციალურად ამ დღისთვის. აქვთ გამოფენა-გაყიდვა. შემოსული თანხა გადაირიცხება ონკოლოგიურად დაავადებული ბავშვის დასახმარებლად. დიდი სურვილი გვქონდა ჩვენი წვლილი შეგვეტანა ამ საქმეში. მადლობა ამ ღონისძიების ორგანიზატორებს კეთილი საქმისთვის.“

„დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიც შეუერთდა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს. ჩვენ მოკრძალებულად, მაგრამ მაინც გამოვეხმაურეთ ამ დღეს. დავგეგმეთ აქტივობა ღია ცის ქვეშ. წელს ჩვენ გვაქვს საქველმოქმედო კომპონენტიც. იცით რომ ჟურნალისტ ბექა პატურაშვილს ონკოდაავადებით გარდაეცვალა წლინახევრის შვილი და მშობლების სურვილი იყო, რომ ღონისძიებას ჰქონოდა საქველმოქმედო სახე და შვილის ხსოვნის საპატივსაცემოდ დახმარებოდნენ ასეთივე დაავადების მქონე ბავშვს.“- აღნიშნა გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას ილია მარტყოფლიშვილმა, დედოფლისწყაროს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის უფროსმა.

გაზეთი „შირაქი“ ულოცავს ჩვენი ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ბავშვებს მათ პირად დღესასწაულს. ვუსურვებთ ფერად, ბედნიერ და ლაღ ბავშობას. თქვენ ჩვენი იმედი და მომავალი ხართ!

ხათუნა ბენაშვილი

ოკუპანტი შოშიები

დილით ჩიტების ჭიკჭიკი და საამური გალობა რომ გვაღვიძებს, თითქოს სასიამოვნო მოსამენია ეს მრავალხმოვანება, მაგრამ....სასიამოვნოა იქამდე, ვიდრე მოჭიკჭიკე ჩიტები გამანადგურებელ თავდამსხმელებად არ მოგვევლინებიან. ყველა შეამჩნევდა ჩვენს მუნიციპალიტეტში მომრავლებულ ვარდისფერ შოშიებს, იგივე ტარბებს. მრავალრიცხოვან გუნდებად დაფრინავენ, ანადგურებენ სიმწიფეში შესულ ხილს და ურცხვად ეომებიან პატარა გელურებს, იჭრებიან მათ ბუდეში და აძევებენ იქიდან, თვითონ იკავებენ მათ ადგილს. და არა მარტო მათ ჩაგრავენ...

შოშია პატარა, ლამაზი ჩიტია, რომელსაც თითქმის მთელ მსოფლიოში იცნობენ. შოშიასებრთა ოჯახში 120-მდე სახეობაა, მაგრამ საქართველოში მხოლოდ ორი გვხვდება — ჩვეულებრივი და ვარდისფერი შოშია ანუ ტარბი. შოშიამ 20-წუთიანი ბრძოლის შემდეგ კოდალა ნისკარტით "დაითრია" და ფულუროდან მიაბრძანა... შოშია, რომლის წონაც საშუალოდ 75 გრამია, მეტად აგრესიული ფრინველია და არწივის ბუდის მახლობლადაც კი არ ერიდება დაბუდებას. ამერიკაში შოშიებმა უკვე მასობრივად გამოყარეს ფუღუროებიდან კოდალები, ახლახან კი ევროპის კოდალებიც დაჩაგრეს. შოშიების შეტევას მხოლოდ ე.წ. "მიულერის კოდალა" გადაურჩა, რომელიც 450 გრამს იწონის და სიგრძით 0.5 მეტრია.

მოსახლეობა შეშფოთებულია: „სოფლებს ჩიტები შემოესია, მართალია კალია გაანადგურეს, მაგრამ ხეზე ხილი აღარ შეგვარჩინეს. ისიც არ ვიცით, როგორ ვებრძოლოთ. იქნებ მეცნიერებმა რაიმე რჩევა მოგვცენ, როგორ მოვიშოროთ ეს ვერანები"...

„ღვთის რისხვა" - ასე დაარქვეს სოფლებში უბედურებას, რომელიც დაატყდათ თავს . ზაფხულის დასაწყისში ელვისებურად მოფრინდა ჩიტების გუნდი, რომელმაც ჯერ ცა დააბნელა, მერე კი მსხმოიარე ხეხილს შეესია და ხალხს პირიდან ლუკმა გამოაცალა... სულ რამდენიმე წამში ნაყოფით დახუნძლული თუთის, ბლის, ალუბლის ხეები გაშიშვლდა, მერე ფრინველები ძირს ნაყარ ნაყოფსაც შეესივნენ, შთანთქეს და გაუჩინარდნენ. ხალხს ეგონა, გადავრჩითო, მაგრამ... მას შემდეგ ჩიტები სოფლებს მორიგეობით ესხმიან თავს, განსაკუთრებით რბილნაყოფიანი ხილი მოსწონთ. მერე ბარტყებს დაჩეკენ და სამხრეთისაკენ მიფრინავენ. გამწარებულია მოსახლეობა, მათი სახეების დანახვაც საკმარისია იმის მისახვედრად, რამდენი ზარალი მოაქვთ ამ ფრინველებს.

ლექსო პაპა ამბობს: - **„მოფრინდებიან ეს საშინელი ჩიტები და ჯერაც უმწიფარ ხილს ნთქავენ. არც ბალი შეგვარჩინეს, არც თუთა, არც ალუბალი და არც მარწყვი. არც ქვის სროლა აშინებთ, არც ყვირილი და არც თოფი. არავინ იცის, საიდან მოფრინავენ, არც არაფერი ვიცით მათი. ზოგმა თქვა, პურის ნათესებშიც ვნახეთო."**

ვასო:- „ მარტო ხილის განადგურება ხომ არ არის? გარეთ ვერაფერი დაგვიტოვებია, სარეცხსაც აბინძურებენ და მანქანებსაც. არც არაფრის ეშინით, ვერაფრით მოიშორებ თავიდან".

"ღვთის რისხვად" წოდებული ჩიტების შესახებ, ილიას უნივერსიტეტის მკვლევარი, ორნითოლოგი ზურაბ ჯაფარიძე ამბობს: „ტარბი - ფრინველი ბეღურასნაირთა რიგისა. სხეულის სიგრძე 23 სმ-ს აღწევს. ვარდისფერია, თავი, ფრთები და ბოლო მოლურჯო-შავი აქვს. გავრცელებულია ველებისა და ნახევრად უდაბნოს ზონაში - უნგრეთიდან დასავლეთ ალთაისა და ავღანეთამდე. ზამთრობს ინდოეთის ნახევარკუნძულზე. საქართველოში გვხვდება როგორც მობუდარი გადამფრენი ფრინველი (აპრილ-სექტემბერში). ბუდობს კოლონიებად. ბუდეს იკეთებს კლდის ნაპრალსა და ქვების ნაშალში. დებს 5-6 კვერცხს, ინკუბაცია გრძელდება 15 დღე-ღამე.

ეს ფრინველები ადრეც გამოჩენილან საქართველოში, მაგრამ იმდენად ცოტა, რომ მოსახლეობა ყურადღებას არ აქცევდა. ე. წ. ვარდისფერი შოშიები, ანუ ტარბი, როგორც წესი, კალიებს მოჰყვებიან. სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როცა მთელ სოფლებსა და მხარეებს ანადგურებენ. ამ გასაჭირისაგან ხსნის მხოლოდ ერთი მეთოდი არსებობს, ეს ხეების ბადით დაფარვაა, რასაც მთელ მსოფლიოში იყენებენ, ჩვენთან კი მოსახლეობას სად აქვს საშუალება, რომ ხეები ასე შეფუთოს?! მხოლოდ იმის იმედად უნდა ვიყოთ, რომ 5-7 წელიწადში, პოპულაციის აქტივობის გავლის შემდეგ, შოშიების რიცხვი მცირდება." გამოდის რომ, ხეებს ჩვენ ვერ შევფუთავთ, სხვა საშველი კი არ არის, როგორც სჩანს. და იმის იმედად უნდა ვიყოთ, ბუნებრივად როდის შემცირდება ეს პოპულაცია. ასე რომ... „მოთმინებითა ჩვენითა."

ქართული ანდაზაა: „ვინც მოითმენს, ის მოიგებსო". ეს ერთ-ერთი შემთხვევაა, როცა ანდაზა ჭეშმარიტებას აცდენილია. მანამდე კი, სანამ ბუნებრივი პოპულაცია ვარდისფერი შოშიების რიცხვს შეამცირებს, ნუგბარს შესეულ ფრინველებს ჩვენთან ადამიანები პნევმატური იარაღის მეშვეობით აფრთხობენ...

ხათუნა ბენაშვილი

„შევცვალოთ გარემო და შევცვალოთ ადამიანების ქცევა"!

მესამე წელია, რაც საქართველოში ამოქმედდა კანონი თამბაქოს კონტროლის შესახებ. კანონის თანახმად, სიგარეტის მოწევა იკრძალება დახურულ სივრცეში. პირველად ამ კანონს მოწინააღმდეგეებიც მრავლად გამოუჩნდნენ, მაგრამ ის ძალაში მაინც შევიდა. დედოფლისწყაროში თამბაქოს მოხმარების მონიტორინგს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი ახორციელებს. პროექტის უკეთ განხორციელების მიზნით, დედოფლისწყაროში თამბაქოს მოხმარების კოალიცია შეიქმნა, რომელიც სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ადამიანებით დაკომპლექტდა. კოალიციამ არაერთი აქტივობა დაგეგმა, ნაწილი განახორციელა, მაგრამ პანდემიის ფონზე მისი მუშაობაც შეფერხდა.

31 მაისს თამბაქოს წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე აღინიშნა. გაზეთი „შირაქი" კოალიციის ხელმძღვანელს მარიეტა გონაშვილს დაუკავშირდა.

-2018 წლის 1 მაისიდან ამოქმედდა კანონი თამბაქოს წინააღმდეგ. სიგარეტის მოწევა იკრძალება დახურულ სივრცეში. ეს არის აშშ-ს ემორის უნივერსიტეტის კვლევითი ცენტრის მიერ დაფინანსებული პროგრამა. ვფიქრობ, საჭირო პროგრამაა იმიტომ, რომ წელიწადში ძალიან ბევრი ადამიანი იღუპება სიგარეტით, თამბაქოს მოხმარების შედეგად გამოწვეული დაავადებებით. ასევე ძალიან პრობლემურია მეორადი კვამლი. ადამიანი, რომელიც სიგარეტს არ ეწევა, მაგრამ ხვდება ისეთ გარემოში, სადაც ეწევიან, მეორადი კვამლი მასზე ისეთივე უარყოფით ზეგავლენას ახდენს, როგორსაც მწეველებზე. საზოგადოებრივი ჯანდაცვა, როგორც პროფილაქტიკური სამსახური, პირველ რიგში ჩაება ამ კამპანიაში. საქართველოში სიგარეტის მოხმარებით გარდაცვლილი ადამიანების რიცხვი საკმაოდ დიდია. მოწევა მარტო სასუნთქი სისტემის დაზიანებას კი არა, არამედ გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების პროვოცირებასაც იწვევს.

საქართველოში მეორადი კვამლით ყოველწლიურად 1200 კაცი იღუპება. ტელევიზიით ხშირად უკეთდებოდა რეკლამა სიგარეტის მოხმარებას. ეს ძალიან ცუდად მოქმედებდა მოზარდებზე. ვიტყოდი, რომ დროული იყო ამ კანონის ამოქმედება.

ემორის უნივერსიტეტმა გააფორმა ხელშეკრულება საზოგადოებრივი დაავადებათა კონტროლის ცენტრთან. აქედან გამომდინარე დავიწყეთ ჩვენ მუშაობა. პირველი, რაც გავაკეთეთ, შევქმენით კოალიცია. კოალიცია ეს არის იმ ადამიანების ერთობლიობა, რომლებიც მუნიციპალიტეტში გარკვეული ავტორიტეტით სარგებლობენ. ეს ხალხი ემსახურება ერთადერთ მიზანს - „შევცვალოთ გარემო და შევცვალოთ ადამიანების ქცევა".

-რამდენადაც ვიცით, კოალიციის მუშაობაში აქტიურად არიან ჩართულები მომავალი თაობის, განათლების, კულტურისა და სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები...

-ჩვენ გვეძლეოდა თავისუფლება, აგვერჩია პრიორიტეტები. კოალიციის წევრებმა, რომლებიც თვეში ერთხელ ვიკრიბებით, გადავწყვიტეთ, რომ პირველ რიგში, სკოლებში შევსულიყავით. სკოლებში იკრძალება მოწევა, მაგრამ საიდუმლოს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სკოლის მოსწავლეების დიდი ნაწილი თამბაქოს მომხმარებელია. 10-11 წლის ასაკის მოზარდებში კატასტროფულადაა გაზრდილი სიგარეტის მოწევის მაჩვენებელი. ძირითადად ამ ასაკიდან იწყებენ მოწევას და რაც ხშირად მოიხმარენ თამბაქოს, მით უფრო ვითარდება ნიკოტინზე დამოკიდებულება. ამიტომ, პირველ რიგში ავირჩიეთ პირველი საჯარო სკოლა, ჩავრთეთ სკოლის დირექტორი, სკოლის ექიმი შორენა ღვინიაშვილი, რომელმაც ძალიან კარგად იმუშავა ამ 2 წლის განმავლობაში. სკოლაში არის თვითმმართველობა, გავაფორმეთ მემორანდუმი სკოლის „ეკო კლუბთან", რომლებიც აქტიურად ჩაერთნენ თამბაქოს მოხმარების საწინააღმდეგო კამპანიაში.

ერთი წლის განმავლობაში გაწერილი გვქონდა, რა ღონისძიებები უნდა ჩაგვეტარებინა. ბევრი კარგი აქტივობაც გვქონდა დაგეგმილი, მაგრამ მოგვესწრო პანდემია და ამან საერთოდ თავდაყირა დააყენა ყველაფერი. ჩვენ გადავწყვიტეთ, მუშაობის ონლაინ ფორმატზე გადავსულიყავით. ბავშვებთან საგანმანათლებლო ხასიათის საუბრები ონლაინ ჩაგვეტარებინა, აქტივობები, ბუნებრივია, ჩაგვივარდა. თუმცა, მანამდე მოვასწარით და ძალიან კარგი ფლეშმობი შევთავაზეთ საზოგადოებას სიგარეტის ამკრძალავი მაისურებით, კეპებით და წარწერებით.

ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრში მდებარეობს ე. წ. სტალინის სკვერი, რომელიც ახლა თამარ მეფის სახელს ატარებს. მართალია, სკოლებში მოწევა აკრძალულია, მაგრამ მის მოპირდაპირე პარკში ხშირად მიდიან ადამიანები, მათ შორის მოზარდებიც, რომლებიც თამბაქოს მომხმარებლები არიან. როდესაც დედა მცირეწლოვან შვილთან ერთად ზის სკვერში, არაა რეკომენდირებული, ის ხედავდეს, როგორ ეწევიან სიგარეტს. მოსწავლეებმა გამოიჩინეს ინიციატივა და ამ სკვერის დასუფთავების შემდეგ, თვითონ გააკრეს ბილბორდები წარწერით- „ნუ მაბოლებ"! და ამ ბილბორდების დაცვაც თავის თავზე აიღეს. მართლაც, ეს ბილბორდები დღემდე დგას.

ჩვენი ცნობიერების შეცვლა ასე უცებ არ მოხდება, ეს უნდა მოხდეს თანდათან. ამიტომ ეს პროგრამა არის ხუთწლიანი. ახლა მესამე წელი დაიწყო, რაც ეს პროგრამა მიმდინარეობს.

-ვიცით, რომ პროექტის დაწყებისას თქვენი სამსახური აქტიურად ახორციელებდა მონიტორინგს რესტორნებში, კაფეებარებში...

-ეს პროექტი რომ დაიწყო, ჩვენ გვაინტერესებდა, რამდენად იცოდა საზოგადოებამ კანონის შესახებ. ჩვენი სამსახურის წარმომადგენლები გავდიოდით ქუჩებში და ადამიანებს ვეკითხებოდით, ფლობდნენ თუ არა ისინი ინფორმაციას ამ კანონის თაობაზე. თქვენ წარმოიდგინეთ, ხალხს ინფორმაცია ჰქონდა, ბევრმა იცოდა, მათ შორის ახალგაზრდებმაც...და უმრავლესობა ამ კანონს დადებითად აფასებდა.

მერე ჩვენ ყოველთვიურად ვატარებდით მონიტორინგს კაფე-რესტორნებში, სარიტუალო დარბაზებში. სიმართლე გითხრათ, მე რამდენჯერაც შევედი ასეთ დაწესებულებებში, არ მინახავს, რომ ვინმეს მოეწიოს, არ იყო არსად არც საფერფლე. რაც მთავარია, სიგარეტის მოწევა დახურულ სივრცეში დასჯადი გახდა და რესტორნის მეპატრონე თავად იყო დაინტერესებული, რომ კანონი არავის დაერღვია, რადგან ჯარიმას თვითონაც იხდიდა.

ჩვენი მოსახლეობის თვითშეგნება ნელ-ნელა მიდის იქამდე, რომ სიგარეტის მოწევა საზიანოა. როდესაც ბავშვებთან ვმუშაობთ, არაპირდაპირ ვმოქმედებთ მათ მშობლებზეც. მოზარდები ამ ინფორმაციას აუცილებლად მიიტანენ სახლებში, მით უმეტეს, როცა ეს ჩართვები ონლაინ ფორმატში მიმდინარეობდა, ბევრი მშობელი ესწრებოდა მას და თვითონ ისმენდა ყველა საჭირო ინფორმაციას. მიმაჩნია, რომ ყველაზე მეტად უნდა ვიმუშაოთ მოზარდთაობასთან, რათა მათთვის პრიორიტეტი იყოს არა სიგარეტის მოწევა, არამედ სხვა, გაცილებით მნიშვნელოვანი რამ. ახლაც, 1 ივნისს, რადგან შეზღუდვები შემსუბუქდა, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ჩვენმა აქტიურმა მხარდამჭერებმა, ქ. დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, სიგარეტის ამკრძალავი წარწერებიანი მაისურებითა და ტრანსპარანტებით, კიდევ ერთხელ შეახსენეს საზოგადოებას თამბაქოს მავნებლობის თაობაზე.

ჩვენი საბოლოო მიზანია, რომ თამარ მეფის სახელობის პარკში, იქ, სადაც ღია სივრცეა და კანონი სიგარეტის მოწევას არ კრძალავს, იქ გაკრული ბილბორდებით ვიმოქმედოთ ადამიანების ცნობიერები სამაღლებაზე, ხოლო წლის ბოლომდე, ახალგაზრდების ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით, პარკში არსებული შენობა უნდა შეკეთდეს და მწეველებმა იქ , იზოლირებულად მოწიონ სიგარეტი. ასე გავათავისუფლებთ ამ სკვერს სიგარეტის კვამლისაგან.

ესაუბრა
ინგა შიოლაშვილი

არაფხიზელ მდგომარეობაში ავტომობილის მართვაზე შესაძლოა სანქციები გამკაცრდეს

არაფხიზელ მდგომარეობაში ავტომობილის მართვაზე შესაძლოა, სანქციები გამკაცრდეს. აღნიშნულს პარტია „მოქალაქეების“ მიერ პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტი გულისხმობს.

კერძოდ, როგორც პროექტის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, საჭიროა, გამკაცრდეს მიდგომები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის ნაწილში, რომელიც გულისხმობს სატრანსპორტო საშუალების მართვას ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში, ან სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემას ასეთ მდგომარეობაში მყოფი პირისთვის.

კანონპროექტის ავტორთა შეფასებით, მიუხედავად მოქმედი სანქციებისა, ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენის შემთხვევების საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება, კერძოდ კი 2021 წლის 1-ლი კვარტალის-წინაწარი მონაცემების თანახმად, ქვეყნის მასშტაბით 4 676 აღნიშნული სამართალდარღვევა გამოვლინდა. შესაბამისად, ცვლილებების თანახმად, კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში, კოდექსის 116-ე მუხლით გათვალისწინებული სხვადასხვა დარღვევის შემთხვევაში შემდეგი სანქცია იქნება გამოყენებული:

*სატრანსპორტო საშუალების მართვისთვის ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში, ან სატრანსპორტო საშუალების მართვისას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ალკოჰოლური სიმთვრალის დასადგენად შემოწმებისგან თავის არიდებისთვის, პასუხისმგებლობად განისაზღვრება სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების 1 წლით შეჩერება, ნაცვლად 6 თვისა;

*მართვის უფლების შეჩერების პერიოდში, სატრანსპორტო საშუალების მართვა ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში, ან სატრანსპორტო საშუალების მართვისას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ალკოჰოლური სიმთვრალის დასადგენად შემოწმებისათვის თავის არიდება გამოიწვევს, მძღოლის დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით, ადმინისტრაციულ პატიმრობას 5 დღიდან 15 დღემდე ვადით და სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერების ვადის 1 წლით გაზრდას, ნაცვლად მძღოლის დაჯარიმებისა 700 ლარის ოდენობით და სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერების ვადის 1 წლით გაზრდისა;

*მოპედის მართვა ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში, ან მოპედის მართვისას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ალკოჰოლური სიმთვრალის დასადგენად შემოწმებისათვის თავის არიდება, გამოიწვევს მძღოლის დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით, ნაცვლად 150 ლარისა;

*სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა წინასწარი შეცნობით ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფი პირისათვის გამოიწვევს დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით, ნაცვლად 1000 ლარისა. ამავე სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა 1 წლის განმავლობაში კი, გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით, ნაცვლად 1500 ლარისა;

*სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა წინასწარი შეცნობით ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფი პირისათვის გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით, ნაცვლად 1000 ლარისა;

*მოპედის მართვა ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში, ან მოპედის მართვისას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის დასადგენად შემოწმებისათვის თავის არიდება, გამოიწვევს მძღოლის დაჯარიმებას 600 ლარის ოდენობით, ნაცვლად 300 ლარისა;

გარდა ამისა, მკაცრდება მიდგომა მართვის უფლების აღდგენაზეც. კერძოდ, პროექტის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ პირს ავტომობილის მართვის უფლება შეუჩერდება სატრანსპორტო საშუალების ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მართვის ან ამ დროს შემოწმებაზე თავის არიდების გამო, მართვის უფლების ვადამდე აღდგენის შესაძლებლობა მიეცემა, სახდელის დადებიდან არაუადრეს 6 თვეში, ნაცვლად მოქმედი 3 თვისა. ხოლო, მართვის უფლების აღდგენის ერთ-ერთ წინაპირობად განისაზღვრება 2000 ლარის ოდენობის ჯარიმის გადახდა, ნაცვლად დღეს არსებული 1 000 ლარისა.

ნახევრად გახსნილი საზღვრები – 12 გამშვები პუნქტიდან ყველა ისევ არ მუშაობს

1 ივნისიდან, საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველომ სახმელეთო საზღვრები გახსნა, თუმცა ირკვევა, რომ არც ამის შემდეგ არის შესაძლებელი ყველა გამშვებ პუნქტზე საზღვრის კვეთა. მიუხედავად მცდელობისა, „რადიო თავისუფლებამ“ ვერც ერთი სახელმწიფო უწყებისგან ვერ მიიღო ინფორმაცია, სად შეიძლება უცხოელმა ან საქართველოს მოქალაქემ დააზუსტოს, ფუნქციონირებს თუ არა მისთვის ხელსაყრელი საბაჟო პუნქტი.

საზღვრების გახსნის პირველ დღეს, ლაგოდეხის გამშვებ პუნქტთან საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარი ჩაკეტილი იყო. კოვიდ-19-თან ბრძოლის მიზნით საზღვრის ეს მონაკვეთი ჯერ კიდევ გასული 2020 წლის მარტში ჩაიკეტა, ისევე როგორც სხვა სახმელეთო და საჰაერო საზღვრები.

„18 გამშვები პუნქტიდან ფუნქციონირებს 2 - სარფისა და სადახლოს გამშვები პუნქტები, რომლებიც საქართველოს, შესაბამისად, თურქეთსა და სომხეთთან აკავშირებს“, - უთხრეს რადიო თავისუფლებას გამშვები პუნქტების ოპერატიული უზრუნველყოფის განყოფილებაში.

1 ივნისიდან მოყოლებული სარფის საბაჟოდან მართლაც გადმოდიან ტურისტები და საქართველოს მოქალაქეები, რომლთაც საზღვრის გადმოკვეთა შეუძლიათ სრული ვაქცინაციისა და უარყოფითი PCR ტესტის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ამ დოკუმენტების გარეშე კვეთთ საზღვარს, 8 დღის თვითიზოლაციაში გატარება იქნება სავალდებულო.

რა ხდება სხვაგან? საგარეო საქმეთა სამინისტრომ „რადიო თავისუფლებას“ განუმარტა, რომ ყველა გამშვები პუნქტი გახსნილი არ არის, თუმცა, სარფისა და სადახლოს გამშვები პუნქტების გარდა, ფუნქციონირებს ასევე „წითელი ხიდისა“ და ლარსის საბაჟოები.

„წითელ ხიდზე“ საზღვარი უპრობლემოდ გადმოლახა ელმირა ტარტარაშვილმა. 2020 წლის მარტში დაწესებული შეზღუდვების გამო აზერბაიჯანში დარჩა და ერთი წლის თავზე საქართველოში დაბრუნდა.

შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე კი გამოქვეყნებულია 12 საბაჟო გამშვები პუნქტის სია, სადაც მითითებულია, რომ „წითელ ხიდზე“ აკრძალულია საზღვრის კვეთა, ისევე როგორც „ნინოწმინდის“, „კარწახისა“ და „ვალეს“ გამშვებ პუნქტებზე.

ადგილზე მყოფმა საბაჟოს თანამშრომელმა კი „რადიო თავისუფლებას“ დაუდასტურა, რომ რეგიონში არსებულ სამივე გამშვებ პუნქტზე თანამშრომლები დილის 8 საათიდან 10 საათამდე სრული დატვირთვით მუშაობენ.

2019 წელს შემოსული 8 მილიონამდე ვიზიტორის 74.8 % სწორედ სახმელეთო გზით შემოვიდა საქართველოში, საჰაერო გზით 23.8 %-მა ისარგებლა, რკინიგზით - 1 %-მა, ზღვით კი - 0.5 %-მა.

ამ პირობებში კი, როცა საქართველოში მეტი წილი სწორედ სახმელეთო საზღვრიდან შემოდის, შეიძლება ითქვას, ქვეყანა ტურისტებს ნახევრად გახსნილი საზღვრებით ხვდება.

ამ დროისთვის არ მოიძებნა არც ერთი სახელმწიფო უწყება, რომელიც ტურისტებსა თუ საქართველოს მოქალაქეებს მიაწვდიდა სრულყოფილ ინფორმაციას, რომელი გამშვები პუნქტებია რეალურად გახსნილი და საიდანაა ქვეყანაში შემოსვლა შესაძლებელი.

ხსოვნა

ბადრი გოგლიძე-მაია ოშხარელი

ორმოცი დღე გავიდა, ძვირფასო ბადრი და ძვირფასო მაია, მაგრამ თქვენი დაკარგვით გამოწვეულ ტკივილს არათუ დღეები, ათეული წლები ვერ გაანელებს. ვერაგმა ვირუსმა არც თქვენ დაგინდოთ და ყველა თქვენი ახლობელიც იმ აუტანელ, სამწუხარო რეალობაში დაგვტოვა, რომლის დაჯერების სურვილი არ გვაქვს. ამიტომაც გელოდებით ხოლმე ჩვეულებრივ უქმეებზე, ამიტომაც ვიღებთ ხოლმე ხელში ტელეფონს თქვენთან დასარეკად. მაგრამ, როდესაც ჭიშკარი გაიხსნება და თქვენს ნაცვლად თქვენი სამაგალითოდ აღზრდილი შვილი, (რომელიც ყოველ სამ დღეში აქ ჩამორბის ბებო-პაპას მისახედად) ნოდარიკო დაიძახებს, მაშინ ვაცნობიერებთ, რომ უკვე ერთი თვეა სხვა რეალობა გვიდგას!

ბადრი გოგლიძე და მაია ოშხარელი არამხოლოდ ოჯახმა, ახლობლებმა, არამედ, მთელმა ქვეყანამ დაკარგა. საქართველოს პროკურატურამ და სასამართლო სისტემის ყველა ინსტანციამ დაკარგა ორი უნესიერესი, უძლიერესი და ჰუმანური იურისტი, რომლებმაც არაერთი სამაგალითო პრეცედენტი შექმნეს ქართული მართლმსაჯულების ისტორიაში. სულ ახლახანს, 30 მაისს, საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ირაკლი შოთაძემ პროფესიულ დღესთან დაკავშირებით, პროკურატურის საპატიო წევრის წოდება მიანიჭა ან გარდაცვლილ ბადრი გოგლიძეს. განუსაზღვრელი იყო მაია ოშხარელის ობიექტურობა და ჰუმანურობა ქართული სასამართლო სისტემის ყველა ინსტანციაში. იგი იყო ჯერ საქალაქო, შემდეგ სააპელაციო და უზენაესი სასამართლოს მოსამართლე. გარდაცვალებამდე უვადოდ დაინიშნა და მუშაობდა მცხეთის რაიონის მოსამართლედ. მის სახელს უკავშირდება არაერთი გახმაურებული საქმე და უზენაესი სასამართლოს დარბაზიდან არაერთ გათავისუფლებულ ადამიანს. ძნელია, ასე ღირსეულად ემსახურო შენს ქვეყანას, ხალხს და განურჩევლად ყველასთან ასეთი დიდი სიყვარული და პატივისცემა დატოვო. ძნელია, ასეთი მეგობრების დანაკარგს თვალი გაუსწორო, მაგრამ, ვალდებულნი ვართ ეს ტვირთი ისე ღირსეულად ვატაროთ, როგორც თქვენ გეკადრებათ და თქვენს შვილებს ის მშობლის სითბო დავახვედროთ ხოლმე, რომელსაც თქვენი უეცარი დაკარგვით გამწარებულები, ასე დაეძებენ მათ მეგობრებში!

ელზა ხარაშვილი, გელა გველუკაშვილი

***

„ლურჯი აპრილი“ ჩვენთვის გაშავდა, ბადრი და მაია, აწი თქვენი ხსოვნა გაასხივოსნებს მხოლოდ! თეთრ იასამნებში თქვენს ხატებას ვხედავთ, თეთრ, ღამაზ სახეებს, აწ მდუმარედ გარინდებულს! ამ თეთრ იასამნებს გატანთ ორივეს, ღვთისმშობლის დალოცვილი ყვავილი ყოფილა იასამანი და მისი მადლით ცათა სასუფეველი დაგიმკვიდროთ უფალმა, შეგეწიოთ ჯვარცმული იესო!ცრემლით განედლებულ სიყვარულს გატანთ, ჩვენო ძვირფასებო! შეხვედრის დღიდან ერთნი იყავით და ერთადაც მიგვატოვეთ! ნახვამდის!

ზენზელა, ნოდარ, მზია და ნინო გოგლიძეები

გოდერძი იაკობიშვილი, გია ამირიძე, მერაბ ბაცაცაშვილი ოჯახებით მწუხარებას გამოთქვამენ მძახლის

მაყვალა ცაკაშვილის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ გივი ცაკაშვილს მეუღლის, მევლუდ, გია, ვასია ცაკაშვილების ოჯახებს დედის გარდაცვალების გამო.

ნელი გობეჯიშვილი, დათო და ნინო პოპიაშვილები იუწყებიან

ზაირა ფაციაშვილ-გუგენიშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს და ახლობლებს.

ნაირა, ციხელო, გულნარა, ანგელინა, მანანა, თამილა გორაშვილები, თამარი პოპიაშვილი და ლეილა სულაშვილი ოჯახებით იუწყებიან ახლობელი ნათესავის

ზაირა ფაციაშვილ-გუგენიშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს და ახლობლებს.

მევლუდ გიგოლაშვილი და ლალი ბასილაშვილი ოჯახით იუწყება

ზაირა ფაციაშვილ-გუგენიშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს და ახლობლებს.

უშუს გუნდის ქუთაისური წარმატება

29-30 მაისს გაიმართა ქუთაისის ღია პირველობა უშუ სანდაში. ამ ტურნირზე დედოფლისწყაროს უშუს გუნდიც მონაწილეობდა 10 სპორტსმენით. შეჯიბრში საქართველოს სხვადასხვა ქალაქის წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას.

საბოლოოდ, დედოფლისწყაროს უშუს გუნდმა ტურნირზე 5 პირველი ადგილი, 3 მეორე ადგილი და 2 მესამე ადგილი მოიპოვა. ჩემპიონები გახდნენ ნიკა ჩიტიშვილი, გივი გოჩიტაშვილი, თორელ ცისკარაული, ნიკა წიკლაური და ნიკოლოზ ხარაზიშვილი. საპრიზო მეორე ადგილები გიორგი წიკლაურმა, საბა ბუთხუზმა და კახა ჩალახეშაშვილმა გაიყვეს, მესამე ადგილები კი ვაკო მოსაშვილმა და ლოვა ბაიროიანმა დაიკავეს. „აღსანიშნავია რომ ჩვენს გუნდს ტურნირზე აკლდა 3 წამყვანი მებრძოლი - ლევან წიკლაური, ბექა გონაშვილი და ლუკა პოპიაშვილი.

მათაც რომ მიეღოთ მონაწილეობა, ჩვენი გუნდის შედეგები გაცილებით კარგი იქნებოდა. ტურნირზე გამორჩეული იყო საბა ბუთხუზი, რომელმაც ერთით მაღალ წონით კატეგორიაში მიიღო მონაწილეობა და 5-მებრძოლიან ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა. გუნდის კაპიტანმა ნიკა ჩიტიშვილმა და გუნდის ერთერთმა საუკეთესო მებრძოლმა გივი გოჩიტაშვილმა ნოკაუტებით დროზე ადრე გაიმარჯვეს. აღსანიშნავია ასევე თორელ ცისკარაულის ასპარეზობა. თორელს დიდი ხნის ჩავარდნა ჰქონდა და ახლა, რამდენიმე წლის შემდეგ პირველად გამოვიდა საასპარეზოდ. მან ღირსეულ მეტოქესთან დამაჯერებლად გაიმარჯვა. პატარა ნიკა წიკლაურისა და ნიკოლოზ ხარაზიშვილის ბრძოლებიც საკმაოდ დაძაბულად მიმდინარეობდა და ღირსეული ჩემპიონობა მოიპოვეს ჩვენმა ბავშვებმა. დიდ მადლობას ვუხდით სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორს აკაკი ნატროშვილს და მუნიციპალიტეტის მერს ნიკოლოზ ჯანიაშვილს გვერდში დგომისთვის და მხარდაჭერისთვის“ - აღნიშნა გაზეთ „შირაქთან” საუბრისას გუნდის მწვრთნელმა გიორგი ცისკარაულმა.

გაზეთი „შირაქი“ ულოცავს დედოფლისწყაროს უშუს გუნდს და მის მწვრთნელს გიორგი ცისკარაულს მორიგ წარმატებას. უსურვებს მათ წინსვლასა და განვითარებას.

ულოცავენ!

ნათელა პოპიაშვილ- ბენაშვილს!

ჩემო უახლოესო მეგობარო, თანაკლასელო, გილოცავ დაბადების საიუბილეო - 80 წლისთავს, გისურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, გახარებას შენს ოჯახთან ერთად. თერთმეტი წელი ერთად ვისწავლეთ და აი, ერთად დავბერდით, თუმცა, შენ ხომ ეს ასაკი არ გეტყობა, ახალგაზრდულად გამოიყურები, მხნედ. როგორც პედაგოგი დღესაც ეხმარები ახლობლების და მეზობლების ბავშვებს ცოდნის ამაღლებაში. ჩაბმული ხარ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ჩვენ გავაცილეთ ამქეყნიდან უახლოესი მეგობარი, თანაკლასელები, მათ შორის მეუღლეები. მათ მაგიერადაც გილოცავ. დავრჩით მე და შენ. იცოცხლე დიდხანს. მეც შენი იმედი მაქვს...

სიყვარულით,
ელიზა სულაშვილი-ღორაშვილი

ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველს და გულშემატკივარს, მეგობარს, რომელიც მხარში გვიდგას სოფელ გამარჯვებაში გაზეთის გავრცელების საქმეში, განათლებულს, ღვაწლმოსილ პედაგოგს, კარგ დედას და სამაგალითო ადამიანს ქალბატონ ნათელა პოპიაშვილს ვულოცავთ საიუბილეო 80 წლისთავს. კვლავაც მხნეობას, ჯანმრთელობას და ბედნიერებას ვუსურვებთ საყვარელ ოჯახთან ერთად.

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია.

ქალბატონო ნათელა, გილოცავთ საიუბილეო 80 წლისთავს. თქვენ მწიგნობართა ასოციაციის აქტიური წევრი ბრძანდებით. იცით წიგნიერების ფასი და სულ მუდამ მხარში გვიდგახართ ჩვენს საქმიანობაში. თქვენი დამოკიდებულებით მაგალითს აძლევთ ახალგაზრდობას, ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში არ დაივიწყონ წიგნის როლი და გავლენა ადამიანის სულიერი ჩამოყალიბების გზაზე. გისურვებთ ჯანმრთელობას, კვლავაც თქვენეული ენთუზიაზმით დიდხანს იყავით ჩვენს გვერდით.

დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის გამგეობა და წევრები.

ჩვენო ძვირფასო ნათელა მასწავლებელო, რაც წლები გადის კიდევ უფრო ვრწმუნდებით თუ რამდენად ძლიერია ჩვენი მეგობრობა. წრფელი გულით, ძლიერი სიყვარულით გვინდა მოგილოცოთ დაბადების დღე და გისურვოთ ჯანმრთელობა, რადგან დიდხანს ხარობდეთ თქვენს მონაგარ ხალხთან ერთად. გისურვებთ უამრავ ბედნიერ წელს. გვიყვარხართ!

ქ.დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების პედაგოგები

ყურადღება!

ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე საალმზრდელო ცენტრში დაწყებულია აღსაზრდელთა მიღების რეგისტრაცია 2021-2022 სასწავლო წლისათვის და გაგრძელდება 1 ივლისამდე.

განცხადებების მიღება მიმდინარეობს ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე საალმზრდელო ცენტრის ადმინისტრაციაში.

მისამართი: ქ.დედოფლისწყარო, ფიროსმანის ქ.N1. 9.00 სთ-დან 18.00 სთ-მდე. **(შესვენება: 13.00 სთ-დან 14.00 სთ-მდე)**

მადლობა!

დედოფლისწყაროში მადლობის წერილი მოვიდა. შალვა გოგილაშვილის მშობლებს ღირსეული შვილის აღზრდისთვის მადლობას უხდიან.

სპეციალური ოპერაციების ძალების საშტაბო ასეულის მეთაური

ღრმად პატივცემულო ქალბატონო ნონა და ბატონო დავით,

მინდა გულწრფელი მადლობა გითხრათ თქვენი შვილის - შალვა გოგილაშვილის მიერ სამშობლოს წინაშე საკუთარი სამსახურეობრივი მოვალეობის სისტემატიურად პირნათლად და ბრწყინვალედ შესრულებისთვის, მის მიერ მისივე სტატუსის სწორად აღქმისა და სამსახურისადმი ბოლომდე ღრმა პატივისცემით დამოკიდებულებისთვის, სამხედრო ფიცის და მოვალეობის ერთგულებისთვის.



სპეციალური ოპერაციების ძალების
საშტაბო ასეულის მეთაურის
მადლობა

ღრმად პატივცემულო ქალბატონო ნონა და ბატონო დავით,

მინდა გულწრფელი მადლობა გითხრათ თქვენი შვილის - შალვა გოგილაშვილის მიერ სამშობლოს წინაშე საკუთარი სამსახურეობრივი მოვალეობის სისტემატიურად პირნათლად და ბრწყინვალედ შესრულებისთვის, მის მიერ მისივე სტატუსის სწორად აღქმისა და სამსახურისადმი ბოლომდე ღრმა პატივისცემით დამოკიდებულებისთვის, სამხედრო ფიცის და მოვალეობის ერთგულებისთვის.

ჩემთვის განსაკუთრებული პატივია ვიყო ისეთი ჯარისკაცის ხელმძღვანელი, როგორიც თქვენი შვილია, მისი გამორჩეული სახასიათო თვისებებით და საქმისადმი დამოკიდებულებით. ჩვენ ვართ თანამებრძოლები და ერთად გვიჭირავს ჩვენივე ქვეყნის თავისუფლების, დემოკრატიის და უსაფრთხოების დროშა. მე ღრმად მწამს, რომ რომ მას უყვარს მისი ქვეყანა და მზად არის ყოველთვს ემსახუროს და დაიცვას ის.

თქვენი როლი კი ამ ყველაფერში ძალიან დიდი და ფასდაუდებელია, თქვენ აღზარდეთ ის ასეთ საამაყო შვილად, რომელიც ასახელებს ოჯახს, ასახელებს ჩვენს სამშობლოს და სწორედ თქვენვე გეკუთვნით ამ ღვაწლისათვის ღრმა პატივისცემა და მადლიერება ჩემგან და სპეციალური ოპერაციების ძალებისგან.

პატივისცემით,
სპეციალური ოპერაციების ძალების საშტაბო ასეულის მეთაური,
კაპიტანი ჯანსუღ ერაგია

ამინდი

დედოფლისწყარო

ორშაბათი 07.06		სამშაბათი 08.06		ოთხშაბათი 09.06		ხუთშაბათი 10.06		პარასკევი 11.06		შაბათი 12.06		კვირა 13.06	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
22 °	12 °	23 °	13 °	25 °	14 °	27 °	15 °	28 °	16 °	28 °	15 °	27 °	15 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ძენძაძე (საქმის მწარმოებელი);
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქ.ალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.